პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №6

თბილისი

12.10.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი – სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
საბა სარიშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი, შპს „კომერციული პარტნიორები – საერთაშორისოს“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლიანა ზამბახიძე – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი,საბჭოს სხდომის მდივანი;
ელგუჯა მელაძე – ა(ა)იპ – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
მაია ჩიხლაძე – ა(ა)იპ – საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს – „საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას“ დირექტორის მოადგილე;
მამია ჯანჯალია – სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
ირაკლი პეტრიაშვილი – საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
ნიკოლოზ ჩაჩხიანი – პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ ზაალიშვილი - ცენტრის დირექტორის მოადგილე;
თამარ მახარაშვილი - ცენტრის დირექტორის მოადგილე;
კახაბერ ერაძე - „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ მენეჯერი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ელენე ვეკუა - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

თემურ წურწუმია - შპს პროფესიული სასწავლო ცენტრის დირექტორის მრჩეველი იურიდიულ საკითხებში;
დავით ჩიტაია - შპს პროფესიული სასწავლო ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;
ნინო გომელაური - შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი;
სოფიო გომელაური - შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი;
დალი კალაძე - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
ირმა ლომაია - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
ხათუნა ბეჟიტაშვილი - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის საქმისწარმოების, სტუდენტთა რეგისტრაციისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი.

სხვა დამსწრე პირები:

დანიელ დავითაშვილი - საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ავტორიზაციის ექსპერტები):

ეკატერინე გიგაშვილი,
შორენა ჯაფარიძე,
მაყვალა დარსანია,
თამარ ვალიშვილი,
ნინო ფეტვიაშვილი,
ქეთევან ჯანელიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:40 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ეტალონში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს პროფესიული სწავლების ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3.შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
4.შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეასთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
5. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა, ან ხომ არ ჰქონდათ აცილება. საბჭოს წევრმა მაია ჩიხლაძემ აცილება განაცხადა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას“ საკითხზე, რადგან წარმოადგენდა აღნიშნულ დაწესებულებას. ლევან მადათოვმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-5 საკითხის - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი განხილულიყო პირველ საკითხად, ხოლო პირველი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ეტალონში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა გადადებულიყო მომდევნო საბჭოს სხდომისთვის, რადგან დაწესებულების წარმომადგენლები სხდომაზე არ გამოცხადდენ. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი განახლებული სახით.

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
2.შპს პროფესიული სწავლების ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3.შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
4.შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეასთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.

საბჭოზე დამსწრე დანიელ დავითაშვილმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, რომ პროფესიული პროგრამების დამატების საკითხი უნდა განხილულიყო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე. მისი თქმით აღნიშნული საკითხი გასაჩივრებული იყო და მალე იქნებოდა გადაწყვეტილება მიღებული.

ლევან მადათოვმა განმარტა, რომ ცენტრი და საბჭო მოქმედებდა კანონის ფარგლებში და საბჭო უფლებამოსილი იყო განეხილა საკითხი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ექსპერტის დაგვიანების გამო პირველ საკითხად განიხილეს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის საკითხი.

1. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა ჯაფარიძემ და ჯგუფის წევრმა, მაყვალა დარსანიამ. ექსპერტების თქმით, 2015 წლის თვითშეფასების ანგარიშით შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგებოდა ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულების ადაპტირებული ვერსიებისაგან. მოცემულ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული იყო: მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა კრედიტებში და ხანგრძლივობა. ასევე წარმოდგენილი იყო ზოგადი, სავალდებულო და არჩევითი პროფესიული მოდულების ჩამონათვალი. პროგრამის მოცულობა კრედიტებში შეადგენდა - 86 კრედიტს, აქედან ზოგადი მოდულების მოცულობა - 15 კრედიტს, სავალდებულო პროფესიული - 51 კრედიტი, ხოლო არჩევითი პროფესიული - 20 კრედიტი. სავალდებულო პროგრამას თან ერთვოდა შემდეგი დანართები - მოდულები, სასწავლო გეგმა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი.

ექსპერტთა თქმით წარმოდგენილ მოდულურ პროგრამას ჰქონდა თანმიმდევრული სტრუქტურა. პროგრამას თან ერთვოდა სასწავლო გეგმა, რომელშიც ასახული იყო მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა. სასწავლო გეგმა შედგენილი იყო მოდულების წინაპირობების, სტუდენტთა კვირეული დატვირთვის (არა უმეტეს 40 საათი კვირაში) გათვალისწინებით. სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყო მოდულების პარალელურ რეჟიმში სწავლება.

ექსპერტების მიერ სავალდებულო და არჩევითი მოდულების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მოდულები შედგენილი იყო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 28 ივლისის N536 ბრძანებით დამტკიცებული ბანკის მოლარე-ოპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების მცირეოდენი მოდიფიკაციის საფუძველზე, ამასთან მათი მოდიფიცირება დადგენილი წესების სრული დაცვით იყო განხორციელებული. აღნიშნულ ნაწილში დაფიქსირდა მხოლოდ მექანიკური ხასიათის ხარვეზი, კერძოდ, პროგრამის სახელწოდებად მითითებული იყო მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის სტანდარტული სახელწოდება იყო ბანკის მოლარე-ოპერატორი.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს იჯარით აღებული ჰქონდა 560 კვ.მ ფართი ქ.მარნეულში შპს მარნეულის სარაიონოთაშორისო საავადმყოფოსთან, 26 მაისის ქ. N80-ს მეორე სართულზე. დაწესებულების მფლობელობაში აღებული ფართი გამოიყენებოდა დაწესებულების მიზნებისთვის და შეესაბამებოდა დაწესებულების მიერ განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები 4 ორგანიზაციასთან. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის პერიოდში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, გადაამოწმა საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ობიექტები, კერძოდ: სს ვითიბი ბანკი ჯორჯია, შპს კრალის სავაჭრო ობიექტი. ადგილზე გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული ობიექტები მზად იყვნენ დაწესებულებასთან თანამშრომლობისთვის, გააჩნდათ შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მატერიალური და ადამიანური რესურსი.

თითოეულ მოდულში წარმოდგენილი იყო ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი, რაც დაწესებულებას ესაჭიროეოდა პროგრამის განხორციელების ძირითად ადგილზე. ექსპერტების მიერ განხორციელდა წარმოდგენილი ჩამონათვალის შესაბამისობის დადგენა სტანდარტული მოდულების მონაცემებთან და დადგინდა, რომ აღჭურვილობის ჩამონათვალი და მათი მახასიათებლები შესაბამისობაში იყო სტანდარტული მოდულის ტექნიკურ ნორმატივებთან.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობებს, რაც დასტურდებოდა როგორც მათი პირადი საქმეების გადამოწმებით, ასევე კოლეჯის, როგორც ავტორიზირებული დაწესებულების სტატუსით. ექსპერტებმა საბოლოოდ დასკვნა დადებითად შეაფასეს. მათი აზრით, დაწესებულება მზად იყო, რომ განეხორციელებინა აღნიშნული პროგრამა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა საწარმოო პრაქტიკის ობიექტებით. ექსპერტის თქმით საწარმოო პრაქტიკის ერთი ობიექტი იყო ბანკი და სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციები. საბჭოს წევრი დანარჩენი ორგანიზაციებითაც დაინტერესდა, თუ როგორ შეიძლებოდა იქ ბანკის მოლარე-ოპერატორის პროფესიული პროგრამის სტუდენტს გაევლო საწარმოო პრაქტიკა.

ექსპერტების განმარტებით, საწარმოო პრაქტიკა ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ერთი ითვალისწინებდა მომსახურებას სავაჭრო სექტორში, მეორე - ბანკში. ბანკების ასოციაცია ფლობდა საოპერაციო ელექტრონულ პროგრამას და ასწავლიდა სტუდენტებს.

საბჭოს წევრი დაინტერესდა რას გულისხმობდა სასწავლო ცენტრში პრაქტიკა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ორ სერიად იყო დაყოფილი ერთი სესიით მიდიოდა ბანკში, ხოლო მეორით სავაჭრო ობიექტზე. ბანკების ასოციაცია ფლობდა საოპერაციო ელექტრონულ პროგრამას და ასწავლიდა სტუდენტებს.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდა აღნიშნულ პროგრამაზე დაწესებულება. დაწესებულების განმარტებით, მათი მატერიალური რესურსი იძლეოდა 22 სტუდენტის მიღების შესაძლებლობას, მაგრამ მეტი მოითხოვეს, რადგან პროგრამა მომავალ წელსაც გრძელდება. ასევე შესაძლებელი იყო ორ ცვლაში კიდევ 22 სტუდენტის მიღება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 234158498) მიენიჭოს უფლება, დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ბანკის მოლარე-ოპერატორი	ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020455	86	III	40

2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეასთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, თამარ ვალიშვილმა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა და დოკუმენტაცია შეესაბამებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს. ექსპერტების თქმით, 2015 წლის თვითშეფასების ანგარიშით შპს საზოგადოებრივმა კოლეჯმა „პანაცეამ" წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია განსაზღვრული იყო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტს. კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა პროფესიული პროგრამის განხორციელების შეფასების წესი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული პროგრამების, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური პროგრამების) შეფასების განხორციელების პროცედურებს და შეფასების შედეგებს.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

დაწესებულების სასწავლო ფართი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. კერძოდ, სასწავლო მაგიდებით, სკამებით, დაფებით, კომპიუტერული ტექნიკით, სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორიებით, სიმულაციის ოთახით, საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებით, ინტერნეტის ქსელითა და სხვადასხვა თვალსაჩინოებებით. დაწესებულებაში არის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროფესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები რაც დასტურდება ექსპერტების ვიზუალური დათვალიერებით.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები და ხელშეკრულებები სხვადასხვა დაწესებულებებთან.

დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებობს ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებელზე არსებული წიგნადი ფონდი. დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო მოდულურ პროგრამაში მითითებულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკა მუშაობს

ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად. ბიბლიოთეკაში არსებობს ანბანური, სისტემური და ელექტრონული კატალოგები. დაწესებულებაში ფუნქციონირებს შესაბამისი მატერიალური რესურსით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი, სადაც განტავსებულია 15 კომპიუტერი. ამას გარდა დაწესებულებას მფლობელობაში აქვს პერსონალური კომპიუტერები, რომლებიც გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

ადამიანურ რესურსთან მიმართებაში.

დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის" პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას" (საიდენტიფიკაციო კოდი: 400023595) მიენიჭოს უფლება, დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	პრაქტიკოსი ექთანი	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	147	მეხუთე	12

3.შპს პროფესიული სწავლების ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მათ დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

შპს პროფესიული სწავლების ცენტრს საბჭოზე წარმოადგენდა დირექტორი - ვლადიმერ ქალდანი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - დავით ჩიტაია და დირექტორის მრჩეველი - თემურ წურწუმია.

დაწესებულების წარმომადგენლებმა შუამდგომლობით მიმართეს საბჭოს, გადაედოთ საკითხის განხილვა შემდგომი სხდომისთვის, რადგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი ვერ ესწრებოდა სხდომას. საბჭომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ეკატერინე გიგაშვილმა წარადგინა. მან აღნიშნა, რომ ყურადღებას გაამახვილებდა დასკვნის იმ ნაწილებზე, რაც შეუსაბამობაში იყო დადგენილ სტანდარტებთან:

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1. <u>ბუღალტრის მესამე და მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების</u> სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო სასწავლო კურსის - „საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა „ორისის“ სწავლება, აღნიშნული კურსის თემატიკა ერთი და იგივე იყო მესამე და მეოთხე საფეხურის პროგრამებისათვის, თუმცა კურსების მიზანი და შედეგები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მესამე საფეხურზე სავალდებულო ლიტერატურად გამოიყენებული ორი სახელმძღვანელო ასევე გამოიყენებოდა მეოთხე საფეხურზეც (მეოთხე საფეხურზე გამოიყენებოდა სულ 3 სახელმძღვანელო).
2. <u>ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე</u> დაშვების წინაპირობად პროგრამაში მითითებული იყო „ბუღალტრის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია და ერთიანი ეროვნული გამოცდების - ზოგადი უნარების მინიმალური ზღვარის გადალახვა“, ეს წესი უკვე 2 წელი იყო რაც აღარ მოქმედებდა - „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესისა და ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის N9/ნ ბრძანება გამოცხადდა ძალადაკარგულად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N152/ნ ბრძანებით (27 სექტემბერი, 2013 წ.) „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“. დღეისათვის, ბუღალტრის (020151) პროფესიული სტანდარტის მიხედვით: მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა წარმოადგენს.
3. <u>ბუღალტრის მესამე საფეხურის</u> პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის აღწერილობით ნაწილში არსებობდა ასეთი ჩანაწერი: „თითოეული სასწავლო კურსი/პრაქტიკა ითვალისწინებს 2 შუალედურ გამოცდას, რომელთაგან თითოეულის ხანგრძლივობა შეადგენს ერთ საკონტაქტო საათს, ყოველი სასწავლო კურსი/პრაქტიკა სრულდება დასკვნითი გამოცდით, რომლის ხანგრძლივობაც არ აღემატება 3 სთ-ს“. ასეთი ჩანაწერის გათვალისწინებით, პროგრამის

განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტების მიზნით, ექსპერტთა მიერ პროგრამის განამახორციელებელ პირებთან გასაუბრების თაობაზე მოთხოვნა ვერ იქნა დაკმაყოფილებული, კოლეჯის დირექტორის განმარტებით ზაფხულის (დასვენების პერიოდის) გამო მათთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. თუმცა მათი კვალიფიკაცია წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. <u>ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე</u> საფეხურის პროგრამის საწარმო პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, პრაქტიკაზე წინაპირობა არ იყო აღნიშნული, თუმცა, ამავე სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული თემატიკის მიხედვითაც ჩანდა, რომ შეუძლებელი იყო, თეორიული ცოდნის გარეშე პრაქტიკულად განეხორციელებინა სტუდენტს პროცესორისა და ოპერატიული მეხსიერების დაყენება, დისკური მოწყობილობების ჩართვა და სხვა.

5. <u>ბუღალტრის მესამე და მეოთხე საფეხურის</u> პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამებში მითითებული საწარმო პრაქტიკის განხორციელების მიზნით გაფორმებული იყო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები; შპს „რეგისტრთან“ და ბუღალტრულ ფირმა შპს „ბიზნესისა და მართვის ცენტრთან“, ორივე შპს დირექტორი იყო ერთი და იგივე პიროვნება (რუსუდან ბარამიძე) და შპს "UHY ARG Academy of Business and Audi"-თან. აღნიშნული დაწესებულებები მდებარეობდა ერთ მისამართზე. ბუღალტრის მესამე და მეოთხე საფეხურის პროგრამებში მითითებული პრაქტიკის ობიექტების ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა საწარმო პრაქტიკის განმახორციელებლის პრაქტიკის განხორციელების გამოცდილება, ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური საშუალებების შესაბამისობა მოთხოვნებთან როგორც თეორიული ასვე პრაქტიკული საქმიანობისთვის.

6. <u>ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე</u> საფეხურის პროგრამით გათვალისწინებული საწარმო პრაქტიკის განხორციელების მიზნით გაფორმებული იყო მემორანდუმი თბილისის საერთაშორისო აკადემიასთან, ქართულ-უკრაინულ საერთაშორისო აკადემიასთან; კავკასიურ-სლავურ საერთაშორისო აკადემიასთან; შპს "გამა კომპიუტერსთან" და შპს "აპექსგრუპთან". ექსპერტთა მიერ პრაქტიკის ობიექტების ადგილზე დათვალიერებით გადამოწმდა საინფორმაციო ტექნოლოგიების პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის ობიექტები. ინფორმაციული ტექნოლოგის პროგრამისთვის პრაქტიკის ობიეტებზე- შპს გამა კომპიუტერსისა და შპს აპექსგრუპის ადგილზე გადამოწმებით დადგინდა, რომ ორივე ობიექტზე სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით არსებობდა ერთი-ორი სტუდენტისთვის სამუშაო ადგილი. არც ერთი ობიექტი არ იძლეოდა ერთდროულად რამდენიმე სტუდენტისთვის საწარმო პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობას და არც დამატებით იყო წარმოდგენილი დაწესებულების მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკის განხორციელების ალტერნატიული გრაფიკი. აღნიშნული საწარმო კომპიუტერის ნაწილებითა და აქსესუარების გაყიდვებით დაკავებული ობიექტები იყვნენ და მათ მიერ ვერ დადასტურდა პრაქტიკის მიზნით სტუდენტთა პრაქტიკაზე მიღების გამოცდილება წარსულში.

7. <u>პროგრამებში, სასწავლო კურსების</u> სილაბუსების უმრავლეს ნაწილში დასკვნითი გამოცდის კომპონენტების შეფასების ქულათა დიაპაზონი იყო: 0-10; 11-20; 21-30; 31-40, რაც ბუნდოვანებას იწვევდა რადგან არ ჩანდა მკაფიოდ, რა შემთხვევაში იღებდა სტუდენტი 2,3,4,5,6,7,8,9,12,1,3 და ა.შ. შუალედურ ქულებს.

ეკატერინე გიგაშვილმა განაცხადა, რომ ზოგიერთი საკითხი საჭიროებდა დაზუსტებას, რის გამოც, ექსპერტებმა მოითხოვეს პროგრამის განმახორციელებელ პირებთან შეხვედრა, თუმცა კოლეჯმა ვერ უზრუნველყო მათთან გასაუბრება.

1.2 დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული საგანამანათლებლო პროგრამების კატალოგი მოიცავდა ინფორმაციას პროგრამის სახელწოდების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლების

საფეხურის, მოცულობის, სწავლების ენის მითითებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, სწავლის შედეგებსა და სფეროს აღწერას; დაწესებულების უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ასევე წარმოადგინა კატალოგის ნაბეჭდი ვერსია.

<u>კატალოგი, არც ელექტრონული სახით დაწესებულების ვებგვერდზე და არც ნაბეჭდი სახით, არ შეიცავდა დაწესებულების შესახებ და შეფასებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.</u>

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების აღწერილობითი ნაწილი შეესაბამებოდა პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს, თუმცა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავება იმ ობიექტებში, სადაც დაწესებულება გეგმავდა საწარმოო პრაქტიკის განხორციელებას (ინფორმაციული ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა) და იმ ადამიანური რესურსით, ნაკლებად შესაძლებელი იყო.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.3 ექსპერტების მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სასწავლო ლიტერატურა. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის თითო ეგზემპლარი განთავსებული იყო ბიბლიოთეკაში, რომლებიც ნაჩუქრობის ხელშეკრულებით გადაეცა კოლეჯს ფ/პ ზაზა გამხუაშვილისგან. ჩუქების ხელშეკრულებით გადაცემული წიგნების უმრავლესობას მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენდა, სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სასწავლო ლიტარტურა დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, რამდენიმე სასწავლო სახელმძღვანელოს გარეკანზე პროფესიული სწავლების ცენტრის გარდა აღბეჭდილი იყო რამდენიმე დაწესებულების ბეჭედი, მაგალითად: თბილისის საერთაშორისო აკადემიის ბეჭედი, კოლეჯი პროფესიული ინოვაციები და სხვა.

2.7 დაწესებულება მდებარეობდა „სამთო ქიმიის" შენობის მესამე სართულზე, შენობაში შესასვლელად რამდენიმე კიბის ავლა იყო საჭირო სადაც სსსმ სტუდენტებისთვის მიმაგრებული იყო კიბეებზე რკინის პანდუსი, ხოლო შენობის ზედა სართულებზე გადაადგილება შესაძლებელი იქნებოდა ლიფტით (დაწესებულებას ქირავნობის ხელშეკრულებით სარგებლობისთვის გადაცემული ჰქონდა გასაქირავებელ ფართზე განთავსებული ინვენტარი, მ. შ. რკინის პანდუსი). შენობის მესამე სართულის ჩათვლით, კიბის უჯრედში, მიმაგრებული იყო რკინის პანდუსები. ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებაში მისაღწევად შესაძლებელი იყო კიბით სარგებლობა, ან მეოთხე სართულამდე ლიფტით და შემდეგ ერთი სართულით ქვემოთ ჩასვლა, თუმცა მეოთხე და მესამე სართულებს შორის კიბეზე პანდუსი არ იყო მიმაგრებული. კიბის დახრილობის კუთხის მიხედვით სსსმ პირების გადაადგილება დამოუკიდებლად შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომ ექსპერტთა კითხვაზე, როგორ გეგმავენ სსსმ პირთათვის შენობაში შესვლის უზრუნველყოფას, დაწესებულების უფლებამოსილი პირების განმარტებით, ამ ეტაპზე დახმარების მექანიზმი ჯერ არ იყო გაწერილი, მაგრამ ასეთის არსებობის შემთხვევაში, შენობის პირველი სართულიდან სსსმ პირებისთვის იქნებოდა დამხმარე /გამყოლი.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულება მდებარეობდა სამთო ქიმიის შენობის მესამე სართულზე. შენობას ჰქონდა ორი შესასვლელი, რომელთაგან ერთი საერთოდ არ იყო ადაპტირებული სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის, ცენტრალური შესასვლელით სარგებლობის შემთხვევაში, კი საჭირო იყო ლიფტით მეოთხე სართულზე ასვლა და ერთი სართულით ქვემოთ ჩამოსვლა. მართალია, კიბეებზე იყო მიმაგრებული რკინის პანდუსი, თუმცა დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მისი გამოყენება სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის. ეკატერინე გიგაშვილმა დაამატა, რომ დასახელებულ ხარვეზებთან დაკავშირებით წამოღებული იყო მტკიცებულებები და საბჭოს წევრებს შეეძლოთ მათი ნახვა.

თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა.

კოლეჯის საზოგადოებასთან ურთერთობის სამსახურის უფროსმა, დავით ჩიტაიამ, ბუღალტრის მესამე და მეოთხე საფეხურზე იდენტური თემატიკით სწავლებასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ორისის პროგრამის ერთი და იმავე სახელმძღვანელოთი სწავლება ორ საფეხურზე არ წარმოადგენდა დარღვევას, პირიქით, სავალდებულოც კი იყო ასეთი მიდგომა, რადგან სხვადასხვა სახელმძღვანელოც რომ აეღოთ, შინაარსი მაინც იდენტური იქნებოდა. მისი თქმით, მესამე საფეხურზე საჭირო იყო სტუდენტს შექმნოდა ზოგადი წარმოდგენა ორისის პროგრამაზე, ხოლო მეოთხეზე უკვე სიღრმისეულად ესწავლა და აღნიშნულ კურსები მიზნებისა და შედეგების მხრივ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

შემდეგ შენიშვნაზე მან განმარტა, რომ ეროვნული გამოცდების მითითება წინაპირობად მოხდა მექანიკურად, ჩანაწერი ჩარჩენილი იყო ძველ ფორმაში, შესაბამისად, ეს წარმოადგენდა ტექნიკურ შეცდომას.

რაც შეეხებოდა გამოცდის ხანგრძლივობას, კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა დაფუძნებული იყო აკადემიურ თავისუფლებაზე, რის გამოც, არ იყო მკაცრად განსაზღვრული გამოცდის წინაპირობა და მასწავლებელი თავად საზღვრავდა საჭირო დროს. პრაქტიკული კომპონენტის წინაპირობის არარსებობასთან დაკავშირებით კი დავით ჩიტაიამ განმარტა, რომ ეს თავისთავად იგულისხმებოდა, რადგან წარმოუდგენელი იყო, სტუდენტს თეორიული ცოდნის გარეშე გაერთვა თავი პრაქტიკისთვის.

დავით ჩიტაიამ აღნიშნა, რომ შეფასების სისტემაშიც შეგნებულად არ მოხდა თითოეული ქულის მკაცრი ფორმულირება და მასწავლებელი თავად განსაზღვრავდა შესაბამის ქულას, ამიტომ, მისი თქმით, ეს არ იყო ხარვეზი.

შემდეგ შენიშვნაზე, კოლეჯის წარმომადგენელმა, თემურ წურწუმიამ აღნიშნა, რომ წიგნები ჩუქების ხელშეკრულებით ჰქონდათ გადაცემული და ეს დასკვნაშიც იყო ასახული. პანდუსებთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ მესამე სართულამდე, სადაც კოლეჯი მდებარეობდა, ამოსასვლელი ადაპტირებული იყო. მართალია, დამოუკიდებლად სარგებლობას ვერ შეძლებდა უნარშეზღუდული სტუდენტი, თუმცა მათზე ზრუნვა და დახმარების აღმოჩენა დებულებით იყო განსაზღვრული სამეურნეო და დაცვის სამსახურის ფუნქციებში. თემურ წურწუმიამ დაამატა, რომ სწორედ აღნიშნულ შენობაში და იმავე ფართზე, მანამდე სხვა კოლეჯმა გაიარა ავტორიზაცია.

თემურ წურწუმიამ აღნიშნა, რომ კატალოგში იყო დაწესებულებასთან და პროგრამასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია - მისია, სტრუქტურა, პარტნიორები, შეფასების სისტემა.

რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტებს, მან განაცხადა, რომ მემორანდუმი გაფორმებული იყო ორ დაწესებულებასთან, რომელთაც ერთი და იგივე დირექტორი ჰყავთ. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტებმა თავად შეარჩიეს ის ობიექტები, რასაც ნახავდნენ, შესაბამისად, იმის თქმა, რომ შედეგზე ვერ გავიდოდა სტუდენტი შერჩეული პრაქტიკის ობიექტების საფუძველზე, არ იყო სწორი.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით მიმართა, აღიარებდნენ თუ არა დასკვნაში აღნიშნულ ინფორმაციას პრაქტიკის ობიექტებზე ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამასთან მიმართებით. დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ დასკვნას ნაწილობრივ ეთანხმებოდნენ.

ექსპერტმა, ეკატერინე გიგაშვილმა აღნიშნა, რომ ერთი ობიექტის ფართი სულ 8 კვ. მ.-ს შეადგენდა და გაყოფილი იყო ორ ნაწილად, სადაც ორ ადამიანზე მეტი ვერ დადგებოდა, მეორე ობიექტზეც სამ სტუდენტზე მეტის განთავსების საშუალებას ფართი არ იძლეოდა, ამასთან, ორივე ობიექტზე მყოფმა ადამიანებმა დაადასტურეს, რომ მათ არ ჰქონიათ სწავლების, სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდათ 30-ით და ერთ-ერთ იმ ობიექტზე,

სადაც ექსპერტები არ იმყოფებოდნენ, იყო 21 კომპიუტერი, სადაც აპირებდნენ 10-10 სტუდენტის განაწილებას.

საბჭოს წევრმა, ელგუჯა მელაძემ აღნიშნა, რომ თუ საუბარი იყო იმ კომპანია „აპექსზე", რომელიც დიღომში მდებარეობდა, ეს წარმოადგენდა სერიოზული ორგანიზაციას და ჰქონდა ბაზა სასწავლო პრაქტიკისთვის, არ იყო დაკავებული მხოლოდ აქსესუარების გაყიდვით და მუდმივად ჰყავდა კლიენტები.

ექსპერტმა, ეკატერინე გიგაშვილმა განაცხადა, რომ იმ მისამართზე, სადაც კოლეჯმა ექსპერტთა ჯგუფი მიიყვანა, პრაქტიკის სრულყოფილად განხორციელების საშუალება არ იყო და ადგილზე მენეჯერმაც დაადასტურა, რომ არ ჰქონიათ სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილება.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ კოლეჯის მიდგომა, ექსპერტები არ წაეყვანათ ობიექტზე, სადაც დადასტურდებოდა პრაქტიკის ობიექტის განხორციელების შესაძლებლობა, თუნდაც ერთსა და იმავე კომპანიაზე ყოფილიყო საუბარი, არასწორი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტები ჯერ იმყოფებოდნენ გამა კომპიუტერის სერვის ცენტრში, შემდეგ კომპანია აპექსში, თუმცა არ უნახავთ ადგილი, სადაც პრაქტიკა განხორციელდებოდა. მან წარმოადგინა თბილისის საერთაშორისო აკადემიაში გადაღებული ფოტოები, სადაც სტუდენტები პრაქტიკას გაივლიდნენ, ამ დაწესებულებასთან კოლეჯს გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი.

ექსპერტმა, ეკატერინე გიგაშვილმა, განაცხადა, რომ არ ყოფილან იმ ადგილზე, რაც ფოტოებში იყო ასახული.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო გაგელიძემ, რომელიც ვიზიტზე ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა, დაადასტურა ექსპერტის ნათქვამი და განაცხადა, რომ ვიზიტის დროს, ექსპერტებმა ჩამოწერეს პრაქტიკის 5 ობიექტი, რომლის ნახვაც სურდათ და რომლებთანაც გაფორმებული იყო მემორანდუმები, ამათგან ორ დაწესებულებაში კოლეჯმა არ უზრუნველყო შეხვედრა იმ მიზეზით, რომ არავინ იქნებოდა ადგილზე, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი მათგანის დირექტორი თავად დავით ჩიტაია იყო, რომელიც ვიზიტის დროსაც იმყოფებოდა კოლეჯში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ჩიტაიამ აღნიშნა, რომ მაშინვე გადარეკეს ყველა ობიექტზე და მოუბოდიშეს ექსპერტებს, რადგან ერთ-ერთი დირექტორი საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა, დანარჩენ ობიექტებზე კი ექსპერტებს ინტერესი არ გამოუხატავთ.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ განაცხადა, რომ საწარმოო პრაქტიკის გარდა იყო სხვა პრობლემებიც - მაგალითად, არ იყო წარმოდგენილი შეფასების სისტემა, გეგმა - როგორ განაწილებულიყვნენ, რა დროში უნდა გაევლოთ სტუდენტებს პრაქტიკა. მამია ჯანჯალიამ აღშფოთება გამოხატა კოლეჯის წარმომადგენლების მიერ სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების „უნარშეზღუდულებად" მოხსენიების გამო, რაც შეურაცხმყოფელი იყო. ამ ადამიანებს უნდა მოეხდინათ გარემოსთან ადაპტაცია და არ დასჭირვებოდათ დამხმარის გამოძახება. ამის გამო შეიქმნა ახალ სტანდარტი და საკმარისი არ იყო, ბრძანებით გამოყოფილიყო პიროვნება სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების დასახმარებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ დაწესებულებების 80%-ს მსგავსი პანდუსი ჰქონდა და ზუსტად ამ საბჭოს შემადგემლობით ჩატარებულ სხდომებზე უპრობლემოდ გაიარეს ავტორიზაცია. ხოლო ახალი სტანდარტი ეხებოდა ახალ შენობებს, რომლებიც ვალდებული იქნებოდნენ, გაეთვალისწინებინათ ახალი სტანდარტის ყველა მოთხოვნა.

თავმჯდომარემ კოლეჯის წარმომადგენელს კორექტულობისკენ მოუწოდა და განმარტა, რომ სხვა დაწესებულებების მაგალითად მოყვანა უადგილო იყო და საბჭო ვერ იხელმძღვანელებდა წინა გამოცდილებით. თავმჯდომარე დაინტერესდა, როდის იყო პროგრამები დამტკიცებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამები 2015 წლის 12 ივლისს დამტკიცდა.

თავმჯდომარემ იკითხა, ჰქონდათ თუ არა კოლეჯის წარმომადგენლებს პასუხი შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ კითხვაზე უკვე უპასუხეს.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ წარმოუდგენელი იყო, პრაქტიკის ობიექტები წინასწარ არ ყოფილიყვნენ მზად ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისთვის. ასევე, მან აღნიშნა, რომ ორ დაწესებულებას - ქართულ-უკრაინული საერთაშორისო აკადემია და კავკასიურ-სლავური საერთაშორისო აკადემია, რომლებთანაც გაფორმებული იყო მემორანდუმი და ექსპერტებს უარი ეთქვათ მათ ნახვაზე, ქართული განათლების სისტემა არ ცნობდა. მსგავსი დაწესებულებები ფუნქციონირებდნენ უკანონოდ და დახურვის რისკის წინაშე იდგნენ, რადგან არ ჰქონდათ უფლება, განეხორციელებინათ საგანმანათლებლო საქმიანობა. აღნიშნული დაწესებულებები იყვნენ არაავტორიზებულები, არალიცენზირებულები და გაუგებარი იყო კოლეჯს ურთიერთობა საეჭვო წარმოშობის ორგანიზაციებთან.

მაია ჩიხლაძემ დაამატა, რომ სერიოზულ ხარვეზად მიიჩნევდნენ იმასაც, რომ ბუღალტრის მესამე და მეოთხე საფეხურის პროგრამები სხვადასხვა მიზნებსა და შედეგებზე გადიოდნენ ერთი და იმავე თემატიკით. ასევე, შეფასების სისტემის დიდი შუალედით წარმოდგენილი დიაპაზონები შეფასების ბუნდოვანებას იწვევდა, რადგან ქულებს შორის რანჟირება იყო 0-10, 20-30 და ა.შ. მაია ჩიხლაძე დაეთანხმა მამია ჯანჯალიას მოსაზრებებსაც და განაცხადა, რომ ამ ხარვეზებით შეუძლებელი იყო შედეგებზე გასვლა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პროფესიული სწავლების ცენტრის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს პროფესიული სწავლების ცენტრს (ს/კ:406140475) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარის, ქეთევან ჯაყელის თქმით პროგრამული ხარვეზები, ხარვეზები წინაპირობებში, შეფასების სისტემის გაუმართაობა, შენიშვნა ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით, შენიშვნა პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძველი იყო.

4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტებმა, ეკატერინე გიგაშვილმა და ქეთევან ჯანელიძემ. ექსპერტების თქმით, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია იყო მოქმედი საზოგადოებრივი კოლეჯი და ექსპერტთა ვიზიტის დროს ყველა საკითხი სამართლებრივად მოწესრიგებული იყო. დაწესებულებას პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის მოდულური პროგრამის დამატება სურდა. პროგრამას ხარვეზები არ ჰქონია, ყველაფერი სათანადოდ გაწერილი და დამტკიცებული იყო. ექსპერტების თქმით პროგრამა შედეგზე გადიოდა. ვიზიტი მიმდინარეობდა თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტმა ეკატერინე გიგაშვილმა საბჭოს გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნა:

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა დამტკიცებული იყო სათანადო წესით კოლეჯის დირექტორის მიერ. პროგრამა შედგენილი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, მასში განსაზღვრული იყო მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია. პროგრამის მოცულობა შეესაბამებოდა პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოცულობასთან და 147 კრედიტი იყო, მისი სტრუქტურა მოიცავდა სავალდებულო ზოგად, პროფესიულ და არჩევით პროფესიულ მოდულებს, ხანგრძლივობა იყო 27 სასწავლო თვე, პროგრამას დანართის სახით ახლდა სასწავლო გეგმა გაწერილი კვირების მიხედვით და ადამიანური რესურსის შესახებ ინფორმაცია. სასწავლო გეგმა გაწერილი იიყო წლების მიხედვით სამ წელზე. წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით ნათლად ჩანდა, რომ გათვალისწინებული იყო სასწავლო მოდულების წინაპირობები, პირველი სასწავლო წლის განმავლობაში სწავლა იწყებოდა ზოგადი მოდულებით, შემდეგ პროფესიული მოდულები და ასევე პირველ წელს ჩასმული იყო გაცნობითი პრაქტიკა. სასწავლო პერიოდის მესამე წელს, კვალიფიკაციის მინიჭებამდე, ერთდროულად შემოდიოდა სასწავლო გეგმაში პრაქტიკული პროექტი და საწარმო პრაქტიკა. კვირეული დატვირთვა სხვადასხვა ეტაპებზე იყო 30-დან 40 საათამდე, რაც არ აღემატებოდა სტუდენტის დატვირთვის აღიარებულ ნორმას

მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

დაწესებულება მდებარეობდა ქ. თბილისში, წერონისის ქ. 208-ში. კოლეჯს ჰქონდა სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, საინფორმაციო-

საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია, სასწავლო აუდიტორიები უზრუნველყოფილია დაფებით, მერხებით, ციფრული სადემონსტრაციო საშუალებებით. ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/ მოდულების მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივში მითითებული ჩამონათვალი, ვიზიტის პერიოდში მოთხოვნილი ინვენტარი A, B და C გარემოს მიხედვით ადგილზე იყო.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით

დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობებს. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა პრაქტიკის ობიექტები. მათი მხრიდან სრული მზაობა იყო, იცნობდნენ მოდულებს, მოწესრიგებული იყო ყველაფერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისათვის პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 406056173) მიენიჭოს უფლებამოსილება, დამატებით განხორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	პრაქტიკოსი ექთანი	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	147	მეხუთე	44

დღის წერიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭო დახურულად გამოცხადდა 18:20 საათზე.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე